

სსიპ – გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი  
2016 წლის სამოქმედო პროგრამის შესრულების შედეგები

2016 წლის I კვარტალში კოლეჯის „სასწავლო პროცესის განხორციელების წესის“ შესაბამისად გრძელდებოდა სასწავლო პროცესი, 2016 წლის 25 იანვრიდან 15 თებერვლამდე ჩატარდა პირველი სემესტრის საგამოცდო სესია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. კოლეჯში მიმდინარეობს მზადება საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისათვის, რომელსაც განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრი 2016 წლის შემოდგომის მიღებისთვის გეგმავს. კოლეჯის სტუდენტები და მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობდნენ საქალაქო და რეგიონულ ღონისძიებებში, საქველმოქმედო საღამოებში.

2016 წლის 27 იანვარს ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კოლეჯის სტუდენტთა და კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა დიდი საანგარიშო კონცერტი.

აქტუალური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში 2016 წლის 1 თებერვალს სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო.

პროგრამაში წარმოდგენილი იყო იტალიური რენესანსის სამხმიანი მუსიკა და თანამედროვე აქტუალური მუსიკის ნიმუშები.

22 თებერვალს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ჩატარდა გია ყანჩელის საავტორო კონცერტი. მსოფლიოში სახელგანთქმულ მევიოლინე გიდონ კრემერსა და ცნობილ ვიოლონჩელისტთან - გიედრე დირვანაუსკაიტესთან ერთად გია ყანჩელის "სევდის ანგელოზები" შეასრულა გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ბავშვთა გუნდმა (ხელმძღვანელი - ნინო წიკლაური).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით 25 მარტს, კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მასტერკლასი საჯარო სკოლების მუსიკის მასწავლებლებისათვის, რომელიც ჩაატარა კოლეჯის სამუსიკო სემინარიასთან არსებული მოსწავლეთა გუნდის დირიჟორმა ნინო წიკლაურმა.

29 მარტს კოლეჯის გუნდი მიწვეული იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“- ის დილის გადაცემაში, თბილისის მეექვსე საერთაშორისო საგუნდო ფესტივალისადმი მიძღვნილ სიუჟეტში, სადაც შეასრულა 2 ნაწარმოები.

აპრილის დასაწყისში კოლეჯის სტუდენტი ლაშა მუზაშვილი მონაწილეობას მიიღებს პიანისტთა კონკურს-ფესტივალში, ხოლო კოლეჯის საგუნდო კოლექტივები, სულ 80 მოსწავლე, მონაწილეობს თბილისის მეექვსე საერთაშორისო საგუნდო ფესტივალსა და საგუნდო კონკურსში.

2016 წლის II კვარტალში კოლეჯის სასწავლო განრიგისა და „სასწავლო პროცესის განხორციელების წესის“ შესაბამისად გრძელდებოდა სასწავლო პროცესი, 2016 წლის ივნისში მიმდინარეობს საგაზაფხულო სესია, მოეწყო რეგიონის ნიჭიერ ბავშვთა მოსმენა და ჩარიცხვა კოლეჯთან არსებულ სამუსიკო სემინარიაში. ივლისის დასაწყისში გაიმართება საკვალიფიკაციო გამოცდები პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის. მიმდინარეობს აქტიური მზადება ახალი პროფესიული სტანდარტებისა და ჩარჩო

დოკუმენტის მიხედვით შექმნილი მოდულური პროგრამების დანერგვისა და კოლეჯის გეგმიური ავტორიზაციისათვის. აპრილის ბოლოს განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის მოდულური პროგრამების დანერგვის სპეციალისტები აღინა კუპრავა და ნაზი წიბლიაშვილი ორდღიანი ვიზიტით ესტუმრნენ კოლეჯს და ჩაატარეს ტრენინგი კოლეჯის პედაგოგებისა და ადმინისტრაციისათვის.

მიმდინარე კვარტალი საკმაოდ დატვირთული იყო საინტერესო ღონისძიებებით, კოლეჯის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ 30-ზე მეტ საქალაქო, რეგიონულ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში, საქველმოქმედო საღამოებში, კონცერტებსა და ფესტივალებში. ჩატარდა მასტერკლასები, კონკურსები.

კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის მოსწავლეთა გუნდი(ხელმძღვანელი ნინო წიკლაური) წარმატებით მონაწილეობდა არაერთ პროექტში:

2-12 აპრილს თბილისის საგუნდო ფესტივალის ფარგლებში გამართა კონცერტი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, წარმატებით მონაწილეობდა ფესტივალის საზეიმო დახურვის გალა კონცერტში;

16 აპრილს კოლეჯის დარბაზში ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეორე საგუნდო კონკურსის პირველი ტური, სადაც მონაწილეობა მიიღეს შიდა ქართლის ბავშვთა და ახალგაზრდულმა აკადემიურმა, სამოყვარულო და ფოლკლორულმა გუნდებმა.

15 მაისს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა კონკურსის II ტური, სადაც სამუსიკო კოლეჯის ორი გუნდი მონაწილეობდა.

21 მაისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა კონკურსის გალა-კონცერტი და გამარჯვებულთა დაჯილდოვება. უმცროსკლასელებმა ოქროს მედალი, ხოლო მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა გრან-პრი და სპეციალური პრემია ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის. კონკურსში სულ კოლეჯის 80-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. საუკეთესო დირიჟორის პრემია გადაეცა მათ ხელმძღვანელს ნინო წიკლაურს.

23-26 მაისს ჩატარდა საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი „გორი-2016“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქ.გორის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს საგუნდო საზოგადოების ინიციატივითა და დიდი მხარდაჭერით 20-წლიანი შესვენების შემდეგ აღდგა. ფესტივალის ყველა კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა. წამოდგენილი იყო 15 საგუნდო კოლექტივი საქართველოდან და გუნდები ფინეთიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ფესტივალის ყველა კონცერტში მონაწილეობდნენ კოლეჯის მოსწავლეთა გუნდი და სტუდენტები და პედაგოგები გორის ქალთა გუნდის შემადგენლობაში. 24 და 25 მაისს სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის საკონცერტო დარბაზში მოეწყო საერთაშორისო საგუნდო ფესტივალ „გორი 2016“ მონაწილე უცხოური გუნდების (ფინეთის ქალთა კამერული გუნდი, სომხეთის სახელმწიფო კამერული გუნდი, ესტონეთის კამერული გუნდი, აზერბაიჯანის სახელმწიფო კაპელა) პრეზენტაცია და მასტერკლასები.

2016 წლის 7 მაისს, გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის საკონცერტო დარბაზში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ქართლის რეგიონალურ განყოფილებისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ორგანიზებით მულტიეთნიკური კულტურის ფესტივალის „ერთი ცის ქვეშ-კულტურათა დიალოგი“ ფარგლებში დიდი წარმატებით ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა გალა-კონცერტი, სადაც კოლეჯის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

8.05.2016–14.05.2016 ქ.ბათუმში, ჩატარდა ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის მე–VI საერთაშორისო კონკურსი–ფესტივალი „ჰარმონია“ მასში მონაწილეობდნენ კოლეჯის

მოსწავლეები. ლაურეატის დიპომი გადაეცა საბა ხუციშვილს (ვიოლინო, პედ.

შ.მჭედლიშვილი, კონცერტმასტერი თ.აბრამიძე);

2016 წლის 14 მაისს პროფესიული პროგრამა-შემსრულებელ-ილუსტრატორი, კონცერტმასტერის II კურსის სტუდენტმა ლაშა მუზაშვილმა მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის (ხელოვნების) მე-9 რესპუბლიკური (მე-5 საერთაშორისო საიუბილეო) კონკურს-ფესტივალის “მომავლის ვარსკვლავები” გალა-კონცერტში, სადაც მიენიჭა ლაურეატის წოდება და სპეციალური პრიზი ნომინაციაში – „წარმატებული ექსპერიმენტი“.

2016 წლის 15 და 24 ივნისს გაიმართა კოლეჯის ორი საანგარიშო კონცერტი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე სოლო შემსრულებელმა, დუეტებმა, ანსამბლებმა და კოლეჯის გუნდებმა.

2016 წლის 25 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზის წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის დარბაზში გაიმართა ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტთა და პედაგოგთა კონცერტი ნიქოზის მოსახლეობისა და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთათვის.

2016 წლის III კვარტალში კოლეჯში სპეციალურად შეიქმნა ავტორიზაციის დოკუმენტაციასა და თვითშეფასების კითხვარზე მომუშავე ჯგუფი, რომელმაც გააანალიზა კოლეჯში 5 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა, შეიმუშავა ახალი ინსტრუქციები და დებულებები, გადაიხედა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი განხორციელებისა და შეფასების წესები, დაიხვეწა სასწავლო სილაბუსები, საშემსრულებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდა პრაქტიკის ახალი დებულება.

კოლეჯის პედაგოგებმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაიარეს ტრენინგი თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მუსიკის რეპეტიტორისა და პიანისტ-აკომპანიატორის ახლად დასაწერ მოდულურ პროგრამებში შემავალი სპეციალური მოდულების სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

გორის სამუსიკო კოლეჯს შემუშავებული და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმებში დასახული ამოცანები შეესაბამება კოლეჯის მისიას, ექვსწლიანი გეგმა შემუშავებული პროგრამის სახით, SWOT ანალიზისა და გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით და ითვალისწინებს კოლეჯის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს. ერთწლიან გეგმაში დეტალურადაა წარმოდგენილი მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ამოცანები. კოლეჯი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ყოველწლიურად წარადგენს ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ერთწლიან სამოქმედო პროგრამას, სამოქმედო გეგმა-გრაფიკს და

საშტატო განრიგს. 2016 წელს დამტკიცებული კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის შესაბამისად, მიმდინარე წლის აგვისტოში შემუშავდა აგრეთვე კულტურის სტრატეგიის პრიორიტეტების 2017-2018 წლების პრიორიტეტების გეგმა, სადაც განისაზღვრა გორის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიის პრიორიტეტებიც.

კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ფართზე არის ადაპტირებული გარემო სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელი მოხვეული კიბე არ იძლევა პანდუსის დამონტაჟების საშუალებას, კოლეჯს კი არ გააჩნია თანხები ლიფტის ან სხვა სპეციალური მექანიზმის დასამონტაჟებლად ამიტომ პირველ სართულზე მათთვის შექმნილია ყველა პირობა სწავლისა და საკონცერტო გამოსვლებისათვის, კერძოდ, დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პიროვნებები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მათ გადაადგილებასა და კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან

2016 წლის ოქტომბერში გამოცხადდა საშემოდგომო მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ჩატარდა შემოქმედებითი ტურები. კოლეჯის პროფესიულ პროფესიულ პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 10 სტუდენტი, სასიხარულოა, რომ მათგან სამი კოლეჯთან არსებული სამუსიკო სემინარიის კურსდამთავრებულია. სემინარიის მოსწავლეებიდან ერთი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩაირიცხა. 2016 წლის 22 დეკემბერს კოლეჯმა წარმატებით დაასრულა ავტორიზაციის პროცესი და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით კვლავ მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება.

კოლეჯის პედაგოგებმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კვლავ გაიარეს ტრენინგი თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, მუსიკის რეპეტიტორისა და პიანისტ-აკომპანიატორის ახლად დასანერგ მოდულურ პროგრამებში შემავალი სპეციალური მოდულების სწავლების საკითხებთან დაკავშირებით.

2016 წლის 19 ნოემბერს კოლეჯის საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, ნინო ქათამაძის კლასის კონცერტი;

26 დეკემბერს ჩატარდა კოლეჯის საანგარიშო კონცერტი;

29 დეკემბერს კოლეჯის მოსწავლეთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პედაგოგის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგის, პროფესორ შალვა მოსიძის საიუბილეო საღამოში;

კოლეჯის 5 პედაგოგი და კონცერტმასტერი, 2 კურსდამთავრებული და 1 სტუდენტი გორის ქალთა გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობდა ევროპის საგასტროლო ტურნეში ქეთი მელუასთან ერთად, რომლის დასკვნითი კონცერტი 20 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა.

კოლეჯის ყველა მიღწევა, ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ აისახება ვებგვერდზე [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge), კოლეჯის ფეისბუკ-გვერდზე.

კოლეჯში სისტემატურად ხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგება, მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთება, შემოწირულობით კვლავ გამდიდრდა ბიბლიოთეკა და ფონოკაბინეტი, ავტორიზაციის პარამეტრების შესაბამისად კომპიუტერულ კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერები ჩაირთო ქსელში.

ნ. მანჯავიძე

კოლეჯის დირექტორი